

თეა ტეტელოშვილი

რთული შედგენილობის ზოგი ბოტანიკური ტერმინის მართლწერისათვის

ენა წარმოადგენს ამ ენაზე მეტყველ ინდივიდთა არსებობისა და აზროვნების ანარეკლს. იგი სახელდების დონეზე ასახავს ადამიანის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ საგნებს, მოვლენებს, ქმედებებსა თუ ცნებებს... ალბათ ბუნებასთან ქართველი კაცის მჭიდრო კავშირმა განაპირობა ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკის სიუხვე ქართულში. ამ ლექსიკის მართლწერის საკითხთა მოგვარება სალიტერატურო ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

წინამდებარე სტატია ეხება რთული შედგენილობის (ორი ფუძის ან სიტყვაფორმის შეერთებით შექმნილი) ბოტანიკური ტერმინების ორთოგრაფიას. ასეთი ლექსიკური ერთეულები შესაძლოა შეიცავდეს სიტყვამაწარმოებელ აფიქსებსაც. აღნიშნული ტიპის ტერმინთა დაწერილობის მხრივ ლექსიკონებში დიდი სიჭრელეა, რაც მათი მართლწერის საკითხს განსაკუთრებულ აქტუალურობას სძენს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე ტერმინი, რომლებიც განსხვავებულადაა წარმოდგენილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში, „ბოტანიკურ ლექსიკონსა“ და „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1998).

ქველ-ი	ბოტანიკური ლექსიკონი	ორთოგრაფიული ლექსიკონი
გუგულის-კაბა	გუგულის-კაბა	გუგულისკაბა
ირმის-ენა	ირმის-ენა	ირმისენა
მარწყვა-ბალახი	მარწყვა-ბალახი	მარწყვაბალახი
ფუტკრისდედა	ფუტკრის-დედა	ფუტკრისდედა
ქამასოკო	ქამა-სოკო	ქამა სოკო
ჭინჭრისდედა	ჭინჭრის-დედა	ჭინჭრისდედა

საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს ლექსიკონებში ბოტანიკურ ტერმინთა დაწერილობის არაერთგვაროვნებას. აღსანიშნავია ისიც, რომ დაინტერესებული პირი ამა თუ იმ ტერმინის მართებულ ფორმას ყოველთვის ვერ იპოვის ორთოგრაფიულ ლექსიკონში, რადგანაც იგი, ბუნებრივია, სრულად არ (ან ვერ) ასახავს ყველა სფეროსა და დარგის ტერმინოლოგიას. ამიტომაც სასურველია შემუშავდეს თუ დაზუსტდეს ზოგადი პრინციპები რთული შედგენილობის მცენარეთა სახელების მართლწერასთან დაკავშირებით.

კვლევისათვის გამოვიყენეთ ალ. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“, ივ. ნახუცრიშვილის „საქართველოს სოკოებისა“ და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (რვატომეული) მცენარეთა აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები, რომლებიც დასახელებულ ლექსიკონებსა თუ ნაშრომში ან დეფისით იყო გაფორმებული, ან რთულფუძიანად წარმოგვიდგებოდა, ანდა – ორ სიტყვად. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე სტატიაში ნახსენებ „ბოტანიკურ ტერმინებში“ მხოლოდ რთული შედგენილობის ლექსიკურ ერთეულებს ვგულისხმობთ.

მასალის შესწავლისას გამოვლინდა, რომ მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვების შექმნაში ძირითადად არსებითი და ზედსართავი სახელები მონაწილეობენ, უფრო იშვიათად – რიცხვითები, ხოლო ყველაზე ნაკლებად პროდუქტიულები ამ თვალსაზრისით სახელზმნებია.

ბოტანიკურ ტერმინთა სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე გამოიყოფა ორი ჯგუფი: პირველში შედის ისეთი სახელწოდებები, რომლებიც ერთ სიტყვად ქცევის ანუ გაკომპოზიტების ტენდენციას გვიჩვენებენ და ერთგნებიანი რთული სახელები არიან, მეორეში კი ერთიანდება შესიტყვების სახის ტერმინები. შესაბამისად, ერთი სახელწოდების ფარგლებში არ გამოიყოფა „და-მმა“ ტიპის დეფისიანი ბოტანიკური სახელები, რადგანაც დეფისი ძირითადად ორგნებიანი რთული სახელებისთვის გამოიყენება.

ამა თუ იმ სახელწოდების მართლწერისათვის გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი: ტერმინის შემადგენელ კომპონენტთა ფორმა და რომელიმეს სხვა სიტყვით ჩანაცვლების შესაძლებლობა, თვით სახელწოდების სემანტიკა და სხვ. ტერმინთა

ერთ თუ ორ სიტყვად დაწერის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაწარმოებელ ელემენტთა არსებობაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასახელებულ ორივე ჯგუფს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

I. ბოტანიკური ტერმინები, რომლებიც ერთ სიტყვად (უდეფისოდ) უნდა დაიწეროს:

1) ზოგადად, გაკომპოზიტების ტენდენციას იჩენენ ისეთი სიტყვები, რომელთა პირველი ნაწილი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. ამგვარი ბოტანიკური ტერმინები შეგვიძლია სამ ქვეჯგუფად დავყოთ: ა) სახელები, რომელთა მეორე კომპონენტი მარტივი ფუძეა; ბ) -ა მაწარმოებლიანი ტერმინები; გ) ფუძეგაორკეცებული სიტყვები (რომელთაც ასევე -ა სუფიქსი დაერთვის).

ა) პირველი ქვეჯგუფის სიტყვებია: **ჯაგრცხილა, წითელკაბა, პირწმინდა, ქერშიშველი, წამალწვრილი, ორფერი, ხეკაქტუსი, ხეშავი...**

აქვე შეგვიძლია შევიყვანოთ სახელზმნის მონაწილეობით შექმნილი ისეთი სახელები, როგორებიცაა: **ქარქვეტა** (იგი, ჩვენი აზრით, მიღებული უნდა იყოს „ქარხვეტადან“), **თავჭედილა, წყალნაწყენი.**

ბ) მეორე ქვეჯგუფის სახელებს განეკუთვნება: **ასფურცელ-ა, დიდგულ-ა, ბრტყელეკალ-ა, ფოთოლეკალ-ა, ლურჯეკალ-ა, ფშუტყვავილ-ა, თუთავაშლ-ა, ქვათესლ-ა, ფრთაფოთოლ-ა; ფრთათეთრ-ა...**

ზემოთ ჩამოთვლილ ორივე ქვეჯგუფის სახელებში (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა) ერთ-ერთი კომპონენტი მეორის მიმართ წარმოადგენს პრეპოზიციურ ან პოსტპოზიციურ მსაზღვრელს: **დიდგულა, ლურჯეკალა, ორფერი..., ხეშავი, წამალწვრილი, პირწმინდა...**

მქონებლობის -ა სუფიქსი რთული შედგენილობის სახელწოდების გაკომპოზიტებას უწყობს ხელს, რადგან იგი კრავს ტერმინს, როგორც ერთ მთლიან ოდენობას. ამიტომაც „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მიხედვით, „შავტარა“ ტიპის სახელები უნდა დაიწეროს ერთად (თქსენ 1986: 155).

ანალოგიურად დაიწერება ზემოთ ჩამოთვლილი მქონებლობის -ა მაწარმოებლიანი სიტყვები.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგჯერ -ა სუფიქსს აქვს მქონებლობისგან განსხვავებული სემანტიკური ნიუანსი. კერძოდ, მ. ტუსკიას დაკვირვებით, ხსენებული აფიქსი აწარმოებს მსგავსებისა და თვისების გამომხატველ სიტყვებსაც (ტუსკია 2004: 40). -ა სუფიქსის ეს უნარი განსაკუთრებით თვალშისაცემია მცენარეთა აღმნიშვნელ ლექსიკაში.

გ) ფუძის გაორკეცვით მიღებული ბოტანიკური ტერმინები: ფურფურ-ა, ფუჭფუჭ-ა, ცახცახ-ა, ქუთქუთ-ა, ლივლივ-ა და ა. შ.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს „ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ორივე ნაწილი მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია და -ა სუფიქსდართული ეგვე კომპოზიტები“ (თქსენ 1986: 155).

ჩვენი მხრით დავძენდით, რომ ერთი ნაწილის ასემანტურობაც საკმარისია კომპონენტების უდეფისოდ შეერთებისათვის.

2) ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს აგრეთვე ზოგი ისეთი ბოტანიკური ტერმინი, რომლის პირველი ნაწილიც ნათესაობით ბრუნვაშია. გასათვალისწინებელია, რომ ყველა ასეთი რთული სახელწოდება არ მისდევს აღნიშნულ წესს. კერძოდ, ხსენებული ტიპის ბოტანიკური ტერმინები ერთ სიტყვად დაიწერება, თუ:

ა) ტერმინის შემადგენელი პირველი კომპონენტი დგას ნათესაობითში და ბრუნვის ნიშანი გაცვეთილია. მაგალითად, ჩიტოფეტვა, დათვიმხალა, ოქროჩალა, თავიკუდა... შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ჩამოთვლილ სახელწოდებათა გაკომპოზიტებას -ა სუფიქსი უწყობს ხელს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ისეთი ტერმინებიც, რომელთა შემადგენელი პირველი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს სრულად ინარჩუნებს, -ა ერთვის ბოლოში და ერთ სიტყვად იწერება: **მიწისფარსკვლაფა, ქრისტესგვირგვინა...** თუმცა დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ტერმინების ერთ სიტყვად დაწერას ამართლებს ამ სიტყვების ერთცნებიანობაც.

ბ) ტერმინის შემადგენელი პირველი სიტყვა ნათესაობითშია, ბრუნვის ნიშანი გაცვეთილია და ეს სიტყვა აკონკრეტებს

მეორე ნაწილით გადმოცემულ თვისებას (რასაც კრეფს, იჭერს...): **წყალიკრეფია, ნამიკრეფია, ზუზიჭერია** და მისთ.

აღსანიშნავია, რომ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ მხარს უჭერს „ხარიპარია“ ტიპის სიტყვების ერთად დაწერას (თქსენ 1986: 155).

გ) ტერმინის შემადგენელი პირველი კომპონენტი ნათესაობითში დგას, ბრუნვის ნიშანი სრულად არის წარმოდგენილი, მაგრამ მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული ერთცნობიანია (**ქვეყნისგული, გუგულისკაბა, გუგულისჯამი, კუროსთავი**), ან ტერმინში შემავალი მცენარის აღმნიშვნელი სიტყვა არ შეესაბამება იმ მცენარეს, რომელსაც, როგორც ტერმინი, გამოხატავს. მაგალითად, **გველისმარწყვი** (აღნიშნავს ბალახს), **ირმისმხალა** (ბალახი) და ა. შ.

3) ერთ სიტყვად იწერება მიცემით ბრუნვაში მდგარი პირველი კომპონენტის მქონე რთული სახელიც. აღნიშნული წარმოება ძალზე იშვიათია (შეიძლება ითქვას – ერთადერთიც). კერძოდ, ასეთია **მზესუმზირა**, რომლის პირველი კომპონენტი – სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა – შეპირობებულია მეორე კომპონენტად ორპირიანი გარდაუვალი ზმნის არსებობით.

კომპოზიტური ბოტანიკური ტერმინები ისევე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ერთშემადგენლიანი სახელები (ხეშავის, ხეშავ-ით...). აღსანიშნავია, რომ უკვეცელია მქონებლობის **-ა** სუფიქსდართული და „წყალიკრეფია“ ტიპის სიტყვები (ლივლივას(ი), ლივლივა-თი; წყალიკრეფია-ს(ი), წყალიკრეფია-თი...). რაც შეეხება სახელისა და ზმნის შესიტყვებისგან მიღებულ „მზესუმზირას“, მისი სუბსტანტივაცია დამთავრებულია და **ა** ბოლოხმოვნიან სახელთა მსგავსად კვეცადია.

II. ბოტანიკური ტერმინები, რომლებიც ორ სიტყვად დაიწერება:

აღნიშნულ ჯგუფს განეკუთვნება შესიტყვების (მსაზღვრელ-საზღვრულის) ტიპის რთული ტერმინები. აქ გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: 1) პირველ ქვეჯგუფში კომპოზიტის პირველი კომპონენტი **ატრიბუტული მსაზღვრელია**, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს **-ა** სუფიქსით ნაწარმოები სიტყვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი თვისების გამომხატველი სახელია, რომელიც მი-

დებულის არსებითი სახელისგან მქონებლობის -ა სუფიქსის დართვით; 2) მსაზღვრელი კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელია.

1) ტერმინთა პირველი შემადგენელი სიტყვა ატრიბუტული მსაზღვრელია მეორის მიმართ: **ცრუ აკაცია, ლურჯი ხრამუნა, შავი არყა...**

ამავე ქვეჯგუფში ერთიანდება ისეთი რთული შედგენილობის ბოტანიკური ტერმინები, როგორებიცაა: **კიტრ-ა ნესვი, მარწყვ-ა ბალახი, თაფლ-ა გოგრა, მჭად-ა სოკო, შხამ-ა სოკო, უნაგირ-ა სოკო, მურ-ა სოკო...**

ამგვარი წარმოებისას მეორე სიტყვა ყოველთვის არსებითი სახელია, რომელსაც წინამავალი სიტყვა რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ან აღნიშნავს ამ სიტყვით გადმოცემული მცენარის სახეობას.

ჩვენი აზრით, ტერმინთა ორ სიტყვად დაწერისათვის გადაწყვეტი პირობაა, რომ კონკრეტული მცენარის რამდენიმე სახეობა არსებობდეს და ამის გამო შესაძლებელია გარკვეული ჯიშისა თუ სახეობის აღმნიშვნელი სიტყვის ჩანაცვლება, ანდა დამოუკიდებლად გამოყენება. მაგალითად: **ბურტყლა სამყურა, მარწყვა ბალახი, ბურქა არყი, ბრინჯა ლობიო...**

თქმულის თანახმად, ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს სოკოს სახეობათა გამოხატველი ის ტერმინებიც, რომელთა შემადგენლობაში სიტყვა „სოკო“ ფიგურირებს. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სოკოთა სახელები სწორედ ამგვარადაა წარმოდგენილი, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს ა. კობახიძეს. მეცნიერი სოკოთა რთული სახელების მართლწერისათვის ამოსავლად მიიჩნევს არნ. ჩიქობავას დებულებას, რომლის თანახმადაც კომპოზიტისა და შესიტყვების გასამიჯნავად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვების გათიშვის (გადასმით ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით) პრინციპი. ა. კობახიძეს სოკოთა ორსიტყვიანი სახელების გათიშული (ადგილშეცვლილი, გადასმული) ვარიანტები არაბუნებრივად მიაჩნია და წერს: „ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სოკოს აღნიშნული (და მსგავსი შინაარსის) რთული სახელები კომპოზიტებად უნდა მივიჩნიოთ და მათი ორ სიტყვად დაწერა გაუმართლებელია“ (კობახიძე 2004: 218), თუმცა მისივე მოსაზრე-

ბით, გაუმართლებელია „ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ, ერთი მხრით, ენაში ნაკლებგავრცელებული და ნაკლებმნიშვნელოვანი სოკოები, როგორცაა **ღვიძლა სოკო, ფქვილა სოკო, წვრილა სოკო, გველის სოკო, ძარღვა სოკო** და მისთ. (ავტორი აღნიშნულ სოკოებს ორ სიტყვად წერს. თ. ტ.) და, მეორე მხრით, ფართოდ გავრცელებული და ყველასათვის ცნობილი **არყასოკო, მჭადასოკო, ქამასოკო, შხამასოკო**“ (ამ უკანასკნელთ მკვლევარი რთულ სიტყვებად მიიჩნევს და მათ ერთ სიტყვად წერს. თ. ტ.) (კობახიძე 2004: 219). სოკოთა სახელწოდებების განსხვავებული დაწერილობის დასასაბუთებლად მას „ქედის“ შემცველი სიტყვები მოჰყავს. ქედების აღმნიშვნელი სახელები ორ სიტყვად იწერება (**თრიალეთის ქედი, თუშეთის ქედი, რაჭის ქედი, ვერისის ქედი...**), მაგრამ როცა სიტყვა „ქედი“ შედის სოფლის სახელწოდებაში, მაშინ შერწყმულად უნდა დაიწეროს (**ბროლისქედი, ვანისქედი, ოქროსქედი...**).

ჩვენი აზრით, „ქედი“ სიტყვის შემცველი ტერმინების განსხვავებული დაწერილობა სოკოთა სახელწოდებების ორთოგრაფირებისათვის ბოლომდე არ გამოგვადგება იმ მიზეზით, რომ ერთ სიტყვად დაწერილი „ქედის“ შემცველი სახელები სოფლების სახელწოდებებია – და არა თვითონ ქედის აღმნიშვნელები. სოკოების შემთხვევაში კი **ქამა სოკო, შხამა სოკო, მჭადა სოკო** აღნიშნავს სოკოთა სახეობებს და არა სხვა მცენარეებს.

რაც შეეხება სოკოთა განსხვავებული დაწერილობის გასამართლებლად ენაში მათი მეტ-ნაკლებად გავრცელებულობის საბუთად მოყვანა, ეს საბუთი, ცხადია, ანგარიშგასაწევია, თუმცა უყოყმანოდ მისაღები მაინც არ არის, რამდენადაც ენაში ამა თუ იმ სიტყვის გამოყენების სიხშირე შეპირობებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, ყოფითი თუ სხვა საჭიროებით. აქედან გამომდინარე, ლექსიკური ერთეულის ხმარების სიხშირე პირობითია და არა უნივერსალური. ამასთან, სოკოთა ამა თუ იმ სახელის ენაში მეტ-ნაკლებად ხმარებაც დამოკიდებული უნდა იყოს განსხვავებულ არეალში ამა თუ იმ სახეობის პოპულარობა-სა თუ გავრცელებაზე.

ამას გარდა, არაბუნებრივია, თუმცა ორაზროვანი ნამდვილად არ არის სოკოთა სახეობების პოსტპოზიციური ვარიანტებიც (ჯერ სიტყვა „სოკოა“, შემდეგ სახეობის გამომხატველი სი-

ტყვა): ***სოკო ქამა**, ***სოკო შხამა**, ***სოკო არყა** და ა.შ. ასეც რომ არ იყოს, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი არგუმენტი: ხეთა ჯიშების პოსტპოზიციური ვარიანტები, როგორებიცაა, მაგალითად, **ხე მუხის**, **ხე ნეკერჩხლის**, **ხე ცაცხვის**, ჩვეულებრივ, არ იხმარება, მაგრამ ამის გამო არავინ მიიჩნევს, რომ ჩამოთვლილი სახელწოდებები ერთად უნდა დაიწეროს. სოკოთა სახელებიც ხეთა ჯიშების გამომხატველი სიტყვების მსგავსად, დამოუკიდებლად გვხვდება: **არყა**, **ქამა**, **მანჭკვალა**, **მიქლიო** ისევე, როგორც: **ცაცხვი**, **მუხა**, **ნეკერჩხალი** და ა.შ.

ამრიგად, ზემოთ მითითებული წესის მიხედვით, სოკოთა აღმნიშვნელი სახელის მონაწილეობით შედგენილი რთული ტერმინებიც ორ სიტყვად უნდა დაიწეროს.

2) მეორე ქვეჯგუფში, როგორც აღინიშნა, ერთიანდება შესიტყვების ტიპის ისეთი ტერმინები, რომელთა პირველი ნაწილი ნათესაობით ბუნვაშია და ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი.

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა შეიძლება გამოხატავდეს: მსგავსებას (**ხავსის სოკო**), დანიშნულებას (**ყველის სოკო**, **კორპის მუხა**), ყვავილობა-გახარებისა და მწიფობის პერიოდს (**შემოდგომის წინწკალა**, **თოვლის კენკრა**, **გაზაფხულის მანჭკვალა**), ან ადგილს, სადაც ეს მცენარე ხარობს (**ზღვის კომბოსტო**, **ზღვის ბოლოკი**, **ზღვის შროშანი**, **ყანის ნემსიწვერა**, **ყანის ბირკა**, **სამხრეთის აკაკი**), მისადმი დამოკიდებულებას, სოციალურ შეფასებას: დადებითს ან უარყოფითს (**მაღლის სოკო**, **ღორის სოკო**), სახეობას, ჯიშს (**დარიჩინის ხე**, **თვის ბოლოკი**) და სხვ.

შესიტყვების ტიპის ტერმინები ფაქტობრივად ისევე იბრუნვის, როგორც მსაზღვრელ-საზღვრული. კერძოდ, თანხმოვანფუძიანი პირველი კომპონენტები (გარდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სიტყვებისა) ნაწილობრივ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს (ლურჯ-ი ხრამუნა, ლურჯ-მა ხრამუნა-მ, ლურჯ ხრამუნა-ს, ლურჯ-ი ხრამუნა-ს(ი), ლურჯ-ი ხრამუნა-თი, ლურჯ ხრამუნა-დ, ლურჯ-ო ხრამუნა-ვ), ხმოვანფუძიანები – საერთოდ არ დაირთავენ (შხამა სოკო, შხამა სოკო-მ, შხამა სოკო-ს, შხამა სოკო-ს(ი), შხამა სოკო-თი, შხამა სოკო-დ, შხამა სოკო-ვ). როდესაც ვამბობთ, რომ რთული ტერმინის ხმოვანფუძიანი პირველი კომპონენტი არ დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ჩვენ მხო-

ლოდ ბრუნვის ნიშანთა ფორმოზირვად არარსებობას ვგულისხმობთ, თუმცა ამით არ უარვყოფთ აღნიშნულ ფორმებში ბრუნვის ნიშანთა ნულოვანი ალომორფების არსებობას.

შესიტყვების ტიპის ბოტანიკური ტერმინების ბრუნვისას, ხმოვანფუძიანი მსაზღვრელების მსგავსად, ბრუნვის ნიშნებს ფორმოზირვად არ დაირთავენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ისეთი პირველი კომპონენტები, როგორებიცაა: **ძაღლის, ღორის, ზღვის, ყანის** და ა. შ. სიტყვები, ტერმინებში: **ძაღლის სოკო, ღორის სოკო, ზღვის ბოლოკი, ყანის ნემსიწვერა, ზღვის შროშანი** (ზღვის შროშანი-ი, ზღვის შროშანი-მა, ზღვის შროშანი-ს, ზღვის შროშანი-ის, ზღვის შროშანი-ით, ზღვის შროშანი-ად, ზღვის შროშანი-ო).

ამრიგად, რთული შედგენილობის ბოტანიკურ ტერმინთა ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკის შექმნისთვის ენა ხშირად მიმართავს აქტიურ ყალიბებს. ეს კი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიხელმძღვანელოთ ტერმინთა მართლწერის დადგენილი წესებით (ანალოგიის პრინციპით). განსხვავებულ სახელწოდებათა ორთოგრაფიისთვის კი ყურადღება უნდა მივაქციოთ ტერმინის როგორც ფორმოზირვუნქციურ, ისე სემანტიკურ ფაქტორებს, რომლებიც გადამწყვეტია ტერმინის ერთ ან, პირიქით, ორ სიტყვად დაწერისთვის.

ლიტერატურა

კობახიძე 2004 – ა. კობახიძე, ზოგი რამ კომპოზიტის დაწერილობისათვის (ლექსიკონებში **სოკოს** აღმნიშვნელი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით), ქსკს, XII, თბილისი.

ტუსკია 2004 – მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისი.

თქსენ 1970 (1986) – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული პირველი, თბილისი.

წყაროები

ნახუცრიშვილი 2007 – ივ. ნახუცრიშვილი, საქართველოს სოკოები, თბილისი.

მაყაშვილი 1961 – ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950-1964 – არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.